ოქმი:**ო37. 3723284001**
თარიღი:**11/10/2023**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ხავთასის**

**ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2023 წელი, 3 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.30-14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**ესწრებოდნენ :** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ვლადიმერ ხავთასი არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ვლადიმერ ხავთასმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე.აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტს

წარმოადგენს, შშმ პირთა პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დასახვა. აღნიშნულთან ერთად ჩემი საქმიანობის პრიორიტეტი კვლავ იქნება, წყალმომარაგების ქსელის სრულყოფა,ქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავების ხარისხის გაუმჯობესება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ვლადიმერ ხავთასს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი